

რედაქცია

გადაცემის პრინციპები. აგ. მუხრანის სასწრაფო...

ხელის-მომწერა

მოდებთ თქვენს... რედაქციაში... მისთვის...

„დროება“-იმპერიის უახლესი

წელიწადში 6 თვეს 3 თვეს

დროება და „იმპერია“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ. . . 3 მ. . . 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

უახლესი განცხადების

დაცემის პრინციპები... რედაქციაში... მისთვის...

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 მან.

ტელეგრაფები

კაბელობის სპირა, 26 მარტს.

Table with telegraph rates: ბანკის ბილეთები, პირველი გამოცემისა, მეორე, მესამე, მეოთხე, აღმოსავლეთის პირველი, აღმოსავლეთის მეორე, აღმოსავლეთის მესამე, მკრო, 1/2 იმპერიული, თფილისის სააღდ-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი, შინაგანის 5% სესხის ბილეთები, პირველი სესხის, მეორე სესხის, 1 მანეთი ღირს: ლონდონი, ბამბურლი, პარიზი, ვენა, მავკასიის კერასინი.

თბილისი 1881 წელი

არწუნის თეატრი 29 მარტს, 2 და 5 აზრის

აკ. წერეთელი

წაიკითხავს სამს საზოგადო ლექციას

პეფის ტყოსნის

მესახე

შესავალი

- 1) საქართველოს მოუხსენებლობა საქვეყნო ისტორიაში. 2) საქართველოს ბედის შედარება პროვინციის ბედთან. 3) ქართველთა ენა-იმისი სიმდიდრე და ქართულში შემოსული უცხო ენების სიტყვები.

დ) ჩვენი უმცირესი საქართველოს ტომთა შესახებ.

II

სასიათები საქართველოს ხალხისა.

- 1) ქართლელი. 2) იმერელი. 3) ზურული. 4) მეგრელი და 5) მთიული.

დასაწყისი ცხრის ნახევარზედ

რუსეთის აზრები.

პეტერბურლიდამ იწერებინ ერთ ნემეცურ გაზეთში შემდეგ ცნობებს შესახებ უცხო ქვეყნების წარჩინებულთ სტუმრების მოსვლისა ბერმანის ტახტის მემკვიდრის და უელსის პრინციის მოსვლაზედ სულ ტყუილი ხმები იყო დაგარდნილი; პოლიციამაც კი არ იცოდა ნამდვილად, რომელი ერთი მოდიოდა. პოლიციის აფიცრებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ დანიშნულ ალაგზედ დანიშნულ დროს დგომილიყვენ წესიერების დასაცვლად. მარშალებთან რკინის გზის სტანციაზედ ყველა პოლიციელები 15 მარტს დარწმუნებული იყვნენ, რომ ბერმანის ტახტის მემკვიდრე და უელსის პრინცი მობრძანდნენ; მაგრამ მოსვლით კი ბავარიის პრინცი მოვიდა. ყველა ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ რევოლუციონერების ბოროტმოქმედების ეშინოდათ.

„ამ წარჩინებულთ სტუმრების წასვლის შემდეგ, მთავრობა მიიღებს რევოლუციონერების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს. სახლების ჩხრეკა ეხლაც ენერგიულად მიდის; მაგრამ ამით წასვლის შემდეგ უფრო გააძლიერებენ ამ ენერგიას.“

— პალატის პროკურორა პლივე აცხადებს, რომ იმ კაცის გვარი, რომელმაც ტელეფონის ქუჩაზედ მოიკლა თავი, როდესაც მისი სახლის გასახრეკათ მივიდნენ, ჭესენკო კი არა საბლინი არისო. ეს ჭესენკო თურმე ავთამყოფი სწევს ოდესაში.

— ზამოძიებთმა კამისიამ გაართლა პეტერბურლის ქალაქის ტინიკი მროვინსკი, რომელმაც პატარა ბალის ქუჩაზედ დუქნის გაჩხრეკის დროს ვერ ამოაჩინა ის, რაც მერე, პირველი მარტის შემთხვევის შემდეგ, ამოჩნდა ამ დუქანში.

— პარიჟილამ იწერებინ, რომ ბარტმანი უნახავთ ლონდონში პირველი მარტის შემთხვევის მესამე დღეს.

— პეტერბურლის ვაჭრობას შეუწირავს ორმოც-და-ათი ათასი მანეთი ეკლესიის ასაგებათ იმ ალაგს, საცა ხელმწიფე მოჰკლეს.

— პარიჟილამ იწერებოდნენ, რომ დასავლეთი მეროპის წარმომადგენელი პარიჟილამ, ბერლილამ, ლონდონილამ და ბერლინილამ იმიტომ არიან ამ ქაშად პეტერბურლშიო, რომ მოილაპარაკონ ერთმანეთს შორის პოლიტიკურ დამნაშავეთ და ბოროტმოქმედთ გადგემაზედ ამაზედ ფრანკუზული გაზეთი „Agence Russe“-ი ამბობს, რომ ეს ცნობები მხოლოდ უბრალო ხმები გამოდგენო, ეს წარმომადგენელი მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდნენ პეტერბურლში, რომ უკანასკნელად პატივი სცენ მიცვალებულ იმპერატორს ალექსანდრე მეორეს.

— 18 მარტს გამოვიდა პეტერბურლში შემდეგი უმაღლესი ბრძანება:

„მივიღებთ რა მხედველობაში, რომ

ხდება ამდენი ბოროტ-მოქმედებითი შენთქმულობა, რომლის მიზანი არის შერყევა სახელმწიფო წესიერებისა და რომელიც დასრულდა მთელი რუსეთის შემარყეველ 1 მარტის შემთხვევით, ხელმწიფე იმპერატორმა მკაცრი გარდაწყვეტილებით ბრძანა ბოლო მოეღოს ამ ბოროტ-მოქმედებას და მიენიჭოს სატახტო ქალაქში მცხოვრებთ სრული მშვიდობიანობა და ინება შმაღლესად დადგინება შემდეგისა:

„1) მთელი პეტერბურლის მცხოვრებთაგან ამოჩხეულ იქნეს რამდენიმე პირნი და ამათგან შესდგეს პეტერბურლის ქალაქ-მთავართან დროებითი ჩჩევა, რომელშიაც მიიღებს მონაწილეობას ქალაქის თავიც;

„2) მიენიჭოს ქალაქ-მთავარს უფლება წარუდგინოს ჩჩევას ის ზომები, რომელთაც საჭიროთ დაინახავს საზოგადო წესიერების დასაცვლად;

„3) შოველი გადაწყვეტილება, ჩჩევის უმეტესობით მიღებული, შედის ძალაში და ამ გვარ გადაწყვეტილებას ქალაქ-მთავარი სისრულეში მოიყვანს.

„4) თუ რომელიმე საშუალება წარდგენილი ქალაქ-მთავრის მიერ, უმეტესი ნაწილისაგან ჩჩევისა არ იქნა მიღებული ქალაქ-მთავარს აეკრძალება ამ საშუალების ხმარება;

„5) წესი ამოჩჩევისა ამ გვართ იქნება: ყველა 228 უბნილამ, რამდენზედაც დაყოფილია ქალაქი, იქნება ერთი ამოჩჩეულია; ხმის უფლება აქვთ: ყოველს შენობის პატრონს, სადგომების პატრონს, ესე იგი პირთ, რომელთაც ან სახაზინო და ან კერძო შენობებში აქვთ დაჭერი-

„დროების“ ფელტონი, 28 მარტს.

ინსტიტუტის დიუჩი.

(დასასრული *)

187.... წელს 25 ღვინობისთვე.

თან-და-თან მოთმინება მელევა... სულ მინდა, რომ ის თვალ-წინ მიდგეს. მარტო მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ის დამიწყებს ტკბილად ლაპარაკს, თითქო ბავშვს ელაპარაკებო. ბუშინ შევამჩნიე, რალაც ნაღველი ჰქონდა. ნუ თუ მიხვდა, რომ მიყვარს! სიყვარულმა ამიტაცა, ვეღარ მოვიტყენ. უნდა ჩემი ბედი შევიტყუო... უნდა მივწერო, რომ უმისოთ სიცოცხლე არ შემიძლიან... რას

ვბოდავ? დედა ჩემი თითქო მიხვდა ჩემ ნაღველს; ძალიან სწუხს, მაგრამ არას მკითხავს.

187.... 26 ღვინობისთვე.

ბათავდა... შემოდგომის ქარიშხალმა გაჰფანტა ჩემი ოცნებები, ჩემი იმედები. თითქო სიზმარში ვარო, ლოდი დაუდგიათო გულზე, ვეღარც გავძრულვარ, ვეღარც ვგაძნობ რასმეს, მანამ პასუხი მომივიდოდა, ძარღვები სიმბივით გაჭიმული მქონდა, წკპარტიც საკმარისი იყო... ჩემ მხურვალე სიყვარულს აი რა პასუხი მოუვიდა:

„ძალია გეტყობათ, რომ ჯერ კიდევ ინსტიტუტკა ხართ. ამ დღებში რუსეთს მივიღვარ...“

სუყველა სიტყვები ხანჯალსავით ჩამერჭო გულში... სად ხართ, ცრემ-

ლებო! რა დამრჩა სიკვდილის მეტი? ნუ თუ იმისთანა ლაჩარი ვარ, რომ ვერ შევიძლებ გამოვესალმო სიცოცხლეს!..

დედა-ჩემი?... ის კი დამავიწყდა. ვინ მომცა ნება, რომ ისიც მოგვკლა? მე რომ ძალით მოვიკლა თავი, დედა-ჩემს უნდა ეგონოს, რომ შემთხვევით მოგვკლდ.

187.... 27 ღვინობისთვე.

დღეს უეცრათ სარკის წინ გავიარე და ჩემმა სახემ შემაშინა. ნუ თუ ერთის ღამის ტანჯვა საკმარისი იყო, რომ ესე სახე შემშლოდა!

მაგრამ დღეს მოსვენებითა ვარ, თითქო ერთ დიდ ავთამყოფობას გადაურჩი. რა იყო წუხელის, რა მომივიდა? უნდა მოვიგონო... როგორც

დაბინდდა, მწუხარების და ნაღველისაგან დამაწყებინა ყრყოლა, მერე კანკალი, კბილი-კბილს მაცემინებდა. ძალიან შეწუხდა დედა-ჩემი, უბძანა ბუხარი ანთოთ. დაუწყე გაშტერებით ცეცხლს ყურება. მომავონდა, რომ საფრანგეთში ბევრჯელ ახალ-გაზდა ქალებს, როცა სიკვდილი სწადიათ, ნახშირის სუნით დაიბნიდებიან. მაშინვე თითქმის ჩემი ბედი გადაწყვიტე. მოვიმძინარე თავი და როცა დედა-ჩემი გავიდა ოთახილამ, ნელა-ნელა წამოვიდგე, ჩავეტე სუყველა კარები ამოვკოლე ფანჯრები, რომ ჭკერი არ შემოსულიყო, საჩქაროს მივარდი დაფხურე ბუხარი, თუმცა ცეცხლი ჯერ ღვიადა, გავაქრე სანთელი... ისე საჩქაროთ ვეხლებოდი აქეთ-იქით, თითქო მეშინოდა ლაჩრობა არ გამოემჩინა, სიკვდილისა არ

*) „დროება“, № 65.



ლი სადგომები, სხვა და სხვა საეკონომიკური და სახელოვნო მალაზიების პატრონთა და ქარხნების მექონით. ამორჩეულთა სია წარედგინება დასამტკიცებლად ხელმწიფე იმპერატორს;

„მ) ამორჩევა მთელს ქალაქში უნდა დაიწყოს და კიდევ შესრულდეს ერთსა და იმავე დღეს;

„ნ) დანიშნულ დღეს და საათზედ ამომრჩეველნი ყველანი სახლში უნდა იყვნენ და მოელოდნენ კამისიას, თავიანთ კანდიდატის ჩასაწერად; ვინც სახლში არ იქნება ხმის უფლებას ჰკარგავს.

„შმაღლესად დამტკიცების შემდეგ ამორჩეულთა სიისა, რჩევა დაუყოვნებლივ იწყებს მოქმედებას ქალაქმთავართან. ზომები მიღებულნი რჩევისაგან გამოცხადებული იქნებიან ქალაქმთავრისაგან და იქნებიან ძალაში აღნიშნულ წესითვე შეცვლად.

„ამ საქმისათვის საჭირო ფულს ქალაქმთავარი მიიღებს სახელმწიფო ხაზინიდან.

„ქალაქმთავარმა დანიშნა ამოსარჩევით 19 მარტი 3 საათიდან.

— შმაღლესს საეკონომიკურ სასწავლებელში კურს შესრულებულ ქალებს ექიმებს მიეცათ უფლება სახელმწიფო საავთმყოფოებში სამსახურისა.

ახალი ამბები.

პეტერბურლიდამ გვეწერენ, რომ 1 მარტის შემდეგ ჯერ კიდევ აქ ხალხი გონზე ვერ მოსულაო. შველას რაღაცასი ეშინიათ, ყველა გაფაციცებულია, რაღაცას მოელიან და არ იციან კი რას.

„სტუდენტები ქუჩებში სიფრთხილით დადიან; ცდილობენ, რომ პოლიციელების ყურადღება არ მიიქციონ; თუ პოლიციელმა, ტანისამოსით ან საზოგადოთ გარეგანის შეხედულობით, საეკონომიკურ კაცად გიცნო, შეგაჩერა ქუჩაში და ამ დროს როგორმე ფერი გეცვალა, უნდა იცოდეთ, რომ დაგიჭირენ.

„მაზეთებიდამაც გეცოდინებათ,

შემშინებოდა. მერე მივწევ და მეგონა, ეს არი ჩამეძინება, ძილში არას გავიგებ, დავიბნიდები და ხვალ მკვდარს რომ მნახვენ, ეგონებათ შემთხვევით მომსვლია ეს საქმე, დედა ჩემიც უფრო ადგილით აიტანს ნაღველს...

მაგრამ სად იყო ძილი! შიშით კანკალიმა ამიტანა, სული ვერ მომებრუნებინა, ვიხრჩობოდი, თითქო თმებით მათრევდნენ!...

მელარ მოვითმინე, მინდოდა დამეყვირა, ვეცი ფანჯარას, გავაღე იმ ახრით, რომ ჯერ აღრეა, ძილი რომ დამძლივდეს, მივხურავ ფანჯარას და უფრო ადგილით გამიტაცებს სიკვდილი... მაღვივებდე ქუჩაში... სიჩუმე იყო, არავინ მოჩანდა. მთვარე ახლად ამოდიოდა და მკრთლად ანათებდა...

მომავონდა ჩემი ყმაწვილობა, მო-

რომ ძალიან ბევრს, ხშირად სრულიად უმანკო ხალხსაც, იჭერენ ამ უმად რუსეთში. ჩვენდა — სასიამოვნოდ, ამ დატუსაღებულებში ჯერ-ჯერობით არც ერთი ქართველი სტუდენტი არ ურევია...“

* *

ძალიან გაჩენის თაობაზედ ვაზეთ „მაგკაზში“ დაბეჭდილია, რომ ამ მარტის თვის განმავლობაში 500 ფუთამდინ კალიის კვერცხი მოაგროვა ხალხმაო. თუილისის გუბერნიაში, შარაიაში, კალია ჯერ არ გამოჩეკილა. შარაიაში კალიის კვერცხი ბლომად არის ჩაჭყრილი; აქ ზოგან დაუხნავთ კალიანი მინდვრები და ზოგან კი კვერცხებს აგროვებენ და სწვენო.

* *

მრისოფლელი ხამი გლეხი მსდგომოდნენ დღეს ალექსანდროვის ბაღის მოაჯირსა და წესს არღვევდნენ ისეთ ადგილას, საცა იმათზე ბევრს სხვებსაც დაერღვია ეს წესი. იქვე ახლოს მდგომ პოლიციის სალდათმა დაინახა თუ არა ეს გლეხები, მივარდა იმათა, მოგლიჯა ორთავეს ქული, ჩაავლო შარდში, შედგა ფეხებით და დაუწყო მიწას წმენდა... შერთი კი მიაფურთხეს საწყალ გლეხებმა, მიუტოვეს ქუდები და წავიდნენ...

რასაკვირველია, ქუჩის სისუფთავე უნდა დაიცვას პოლიციამ, მაგრამ როცა სოფთად ჩაცმული ხალხი არღვევს ამ წესს, რატომ მაშინ არ იქცევა პოლიცია ასე სასტიკად?...

* *

„მაგკასიის პურბერში“ დაბეჭდილია, რომ ერთი ვილაც ურია პეტრუს ძაცი თერგისა და შუბანის მახრებში წასულა ქალების მოსაყვანად, რომელთაც მერე აქაურს საროსკიპოებში ჰყიდისო.

ამგვარი ამბები რამდენჯერმე იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული: იმერეთში, სამეგრელოში და შურიაში ხშირად მოტყუებით აგროვებენ ახალგაზდა ქალებს, ჩამოჰყავთ თუილისში და აქ ჰყიდიან, ასაღებენ...

მაგონდა ბავშვი ათას კუთხეს რომ მოვძებნიდი, როცა მამა ჩემი მრისხანე სახით დაუწყებდა ჯავრობას დედა ჩემს და ეს კი მორიდებით ტკბილად გასცემდა პასუხს, თითქო ამშვიდებდა განჩხლებულ ბავშვს. მომაგონდა, რომ რაც უნდა აღერსი დაეწყო მამა ჩემს ჩემთვის, მე შიშით უკან ვდგებოდი. თვალ-წინ წარმომიდგა, როგორც ვესალმებოდი ჩემ პატარა ძმას და დას ინსტიტუტში სწავლის დროს. რა ტირილი მქონდა! ხუმრობა კი არ იყო, შეიდი წლით უნდა მოვშორებულყავე ჩემ სახლობას. მანამ მე ვოცნობობდი ოთხ კედელ შუა — როგორ მხიარულათ დავბრუნდები, კურსს რომ შევასრულებ ჩემ სახლობაში-მეთქი, ამ დროს დამეკარგა დაც, ძმაც... მომაგონდა მამა ჩემი რომ კვებოდა: შინ მიმი-

უწერა და მისი წყლები.

(რაჭაში)

მინდა აგიწეროთ ყურადღების ღირსი ადგილი და იქნება, თქვენის პატივცემულის გაზეთის წყალობით, მიაკციონ ყურადღება ვისიც წესია.

74 წ. მე გახლდი მძიმე ავთამყოფი გაცივებისაგან; დამიწყო ხველება და მჭვალეები; მთელი ზამთრის განმავლობაში ვიყავი ლოგინად, ვიყავე დაერდომილი და მუდამ ექიმები მაღვენ თავზე; მიგრამ არავითარი წამლობა არ მომიდგა; ისეთ მდგომარეობაში ვიყავ, რომ ვინც მნახავდა, ყველანი იმედ დაწმედილი მშორდებოდნენ ჩემს გარდაჩენაზედ; მრავალი ჩემი სახლობლები ვერც ბედავდნენ ჩემს ნახვას და ახლო დაჯდომას, რადგანაც ეშინოდათ რომ ჭლერქი საშიში ავთამყოფობა და გარდადებო.

მეორე წელს, ექიმების რჩევით, წაველ აბასთუმანს და იქ დაეჩი ორი თვე; მაგრამ ისრე ღმერთმა თქვენს მტერსაც ნუ ასარგებლოს, როგორც მე აბასთუმნით ვერ ვისარგებლე; ის იყო კინაღამ ჩემი ძელები იქვე დაეტოვე. ექიმმა სკოროგმა მიჩიია სახლში დაბრუნება და მომცა დარიგება, რომ არ მესვა ღვინო, ოტკა და არც მეჭამა მარილიანი საჭმელები, რადგანაც ჭლერქის ნიშნები გაქვსო.

დავბრუნდი სახლში, ჩავვარდი ლოგინად და მთელი წელიწადი ვიყავ მწუხარე.

შემდეგ, 76 წ. ივნისის თვეში, მიჩიიეს ვილაცებმა, რომ წავსულიყავ რაჭაში უწერის მჭავე წყლებზე. მეც ძველებური ანდაზა ავასრულე: „წყალ წაღებულნი კაცი ხავს ეკიდებოდაო“.

წავიყვანე ორი კაცი იმ ახრით, რომ, თუ ვინცობაა გზაზე მომკვდარიყავი, უპატრონოდ არ დაერჩინილიყავ, და გავსწიე უწერისკენ. (მს ზემორე მოყვანილი ანბავი არავისთვის საინტერესო არ არის, მაგრამ თუ

ყვანეს, რა გლოვა იყო. სუყველა ობოლს მეძახდა...

ზადავებდე ბუხარს. წარმომიდგა როგორ აღარებდა ის ადამიანის სიკოცხლეს ცეცხლსა: „თუმცა ცეცხლი ფერფლათ იქცევა, მაინც გარეშე პირებს ათბობს და ხშირად სიკვდილისაგანაც იხსნისო, — ისეც სუყველა კაცი მოვალეა სხვას ხელი გაუმართოსო“...

ამ სიტყვებმა ჩამაფიქრეს... სხვა ახრები ამერია თავში... მანა საკმარისი ბედნიერება არ არის, როცა კაცი შესწირავს თავს თავის მახლობლებსა... იქნება შევიძლო ვისმეს ხელი გაუმართო!... რა უფლება მაქვს თავი მოვიკლა ესე ახალ-გაზდამ?... ამ დროს მთვარემ თითქო ერთბაშად განათა მთლათ ოთახი და მეც გამინათა მომავალი გზა...

თავიდან არ მოგახსენებთ უბოლოს ვერ ვაიგებთ).

ჩავედი უწერას თუ არა, მეორე დღესვე დავიწყე წყალზე სიარული და სმა წყლისა. მრავალი ხალხი იყო, მაგრამ ერთმაც მათგანმა არ იცოდა რარიგათ მოქცეულიყვნენ, ესე იგი: ვის რომელი წყალი ესეა და ან რამოდენი, რადგანაც აქ არგახლდათ ექიმი; ვინ სვამდა დღეში ოც-და-ათს სტაქანს ვინ ორმოცს, ვინ ხუთს და ვინ როგორც შეიძლებდა, და მოუვიდოდა ფიქრში.

აქვე გახლავს მეორე თვისების წყალი, რომელსაც „რკინის წყალს“ უწოდებენ. ამ წყალს კი ორი სტაქანის მეტს კაცი ვერ დაღვეს, მაგრამ ძალ-დატანებით ზოგნი ათ სტაქანსაც გიანლება, და სწყენს თუ უხდება, ღმერთმა იცის!

აქ არის აგრეთვე მჭავე ჰაერი (გაზი), რომელიც ამოდის მიწიდან ორ-სამს ადგილას, სადაც დარჭობილია მიწაში მასრა და ამ მასრით ეწაფებიან იმ მჭავე ჰაერს, და იძახიან გულის-ტკივილს უხდებაო. მაგრამ ჩემს იქ ყოფნაში ერთი მოხუცი დედაკაცი საუკუნოთ განათავისუფლა ყოველგვარ ავთამყოფობისაგან...

ამას გარდა აქ არის კიდევ ერთი სხეანაირი წყარო, რომელიც გამოწვეთს მიწიდან თუ არა, იმ წამსვე როგორც შაბი ისე იკვეთება; ამით იბანენ თავს და იძახიან, ეს უფბარი თავის ტკივილის წამალიაო!

რაც მოგახსენეთ, ყველა ამითი ხალხი წამლობს სულ თავიანთი გულის-თქმით, რადგანაც ექიმი არ არის. ახლა მე ისევე ჩემ თავ-გარდასავალს გიამბობთ: ორი წლის განმავლობაში მუდამ დღე და ღამე რომ მახველებდა, ოც-და-ხუთი დღის შემდეგ ხველა სრულდებოდა მომესპო; მომეცა საჭმლის მალა და დავიწყე ხორცის შესხმაც. აქიდგან დაბრუნებული, ორი თვის შემდეგ, ისეთ ნაირად გამოვევდი, რომ როცა მუთასში დავბრუნდი და ჩემ ექიმთან მივედი, ვეღარ მიცნო. არც დამიჯერა მე თუ ვარ ის, რომელსაც ის აქიმობდა; მერმე თან გაუკვირდა ჩემი მდგომარეობა...

187.... 7 ქრისტეშობისთვეს.

ხშირად მოდის ნიშო ჩემ სანახავად; თუ თითონ ვერ იცლის, თავის ძმას, ძოლას, გზავნის.

ზუშინ უამბე ამთ, როგორ მინდოდა თავის მოკვლა და რამ შემაყენა. მხლა ესენიც მშველიან ახალგაზდა დადგომას... სოღნა რომ არა მაქვს სხვას რითი გამოვადგები? ინსტიტუტის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სწავლა ან შინ ვაკვრით წიგნების კითხვა განა ეხლა გამომადგება? არა, მე მეჭირება საფუძვლიანი სწავლა და ამ სწავლას რუსეთში მივიღებ... ძოლაც ხელს მიმართავს, რადგან ამ ერთ წელიწადზე ისიც ვათავებს გიმნაზიას და წავა რუსეთს; მაგრამ ნინო კი სულ გზებს მიხლართავს. ღღესაც დაცინვით მიტხრა:



რობა და თანაც გაუხარდა. მხოლოდ დამრჩა ცოტ-ცოტა მკვალეები და სულის თავისუფლათ ამოთქმას მიჭირებდა (ადიშკა).

შუანასკნელის ომიანობის დროს (1877—1878) ვახლდით ჯარში რიანის ატრიადში; აქ მაკლდა, რასაკვირველია, ყოველ გვარი მოვლა და ჩვეულებრივი საშუალებანი, ესე იგი კარგი სასმელი, საჭმელი, კარგათ მოსვენება და სხვა; მაგრამ მთელი ომის განმავლობაში ერთი თავიც არ წამომტყენია.

ასეთი სასარგებლო წყალია უწერა მრავალთათვის. როგორც მოგახსენეთ, მე ასე მომიხდა და მრავალი ჩემთან მყოფნიც განთავისუფლდნ თავის სენსაგან. მაგრამ აქ ისეთი ვიწროობაა, რომ საწყალი ღარისპან ქვიტაშვილი ერთი სტაქანი წყლისათვის მოჰკლეს, რადგან ორი კაცი ერთად ვერ მიეტია წყალთან! ასეველი გზა არის საცალფეხო დასაჯდომი და მოსაჩრდილებელი იქ სულაც არ განლაგეს.

სახლები თითო ოთახი, თითო კაცი რომ დაეტევა, ისე პატარა ოთახები, თვეში თუთხმეტადგან — ოც მანეთამდი ჰქირავდება. მაგრამ ამასთან ისეთი ცუდი ოთახებია, რომ გაჭირებული კაცის მეტი ღამეს ვერ გაათევს შიგ მყარლის სუნის გამო. სასმელ-საჭმელი ღმერთმა იცის სად იშოვნის, რადგანაც აქ არ არის დუქნები; სოფელში დიდის ვედრებით, ისიც თუ თვითონ უნდათ, მცხვრებს იშოვნით, ქათამს სამ აბაზათ, მაგრამ ხშირად ვერც ამას იშოვნით. ხანდისხან აქ გააღებენ დუქანს, მაგრამ გასაყიდს ვერასფერს ვერ იშოვნის კანფეტის, სპიჩკის და სანთლის მეტს.

ხალხი კი იმდენი მოაწყდება ხოლმე მუღამ ზაფხულს, რომ გეგონებათ იმერეთი, ბურია და ოღიში ნახევარი აქ არისო.

ღა ამისთანა ადგილისათვის ყურადღება დღემდის არაღის არ მიუქცევია. მართლა ყველა წყლები უხდება ხალხს, თუ არა, ეს კაცმა არ იცის, რადგანაც დღემდე გამოუკვლეველი დარჩენილა. შესაძლოა, ერთი ასე

მარგებელი იყოს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ და მეორე კი მამაკდინებელი. ჯერ-ჯერობით ორი დედაკაცი კი უმსხვერპლებია იმ სასუნებელს.

ბი მოაწია ზაფხულმაც და ჩვეულებისამებრ მიაწყდება ხალხი და მრავალი მათგანი კი ისეთ წყალს ეძლევიან, რომელიც არაფერს არ არგიათ. ხალხისაგან გამიგონია მაგალითად: „მს რკინის წყალია! რკინასავით განდის კაცსაო!“

მს არის ჩემი უენიშენა და აწ მხოლოდ ვისურვებ, რომ ეს წყლები არ დარჩეს ისე უყურადღებო, როგორც დღემდინ ყოფილა და არის.

ი. გ. ანდუღაძე.
ქუთაისი, 14 მარტს.

სულწინათ დიდმა მთავარმა კაკასის ნამესტნიკმა ამ წესდებულების დამტკიცებას იხუბა.

მთავარ სამმართველს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სტანო-სკელსკი.

თფილისი 1880, სექტემბერი.

წესდებულება

ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა.

I. დაფუძნება საზოგადოებისა და მისი მიზანი.

§ 1.

ქართული დრამატიული საზოგადოება ფუძნდება ქ. თფილისში იმისთვის, რომ დაეხმაროს დრამატიული ხელოვნების წარმატებას ქვეყნის სანამესტნიკოში მცხოვრებთ ქართველთა შორის; ამასთანავე დაეხმაროს სამუდამო და შემთხვევით ქართულ წარმოდგენების გაშართვას ქვეყანაში.

§ 2.

ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას აქვს ნება:

ა) მოიზოვოს საკუთრებად და დაი-

ჩვევიან და გამოიგზავნიან თფილისთ შვილებს.

187... 20 მარტს.

რა მალე გარბის დრო! წელიწადზე მეტია, რაც არ მიმუსაიფნია ჩემ მეგობარ ქალაქდთან. ისე გაბმული ვარ მთელი დღე, რომ ოცნებებისთენ არა მცალიან. მასაქეთ რაც ამ გზას დავადექი, ერთ წუთსაც არ შეჰპარვია ჩემ გულს სინანული.

187... 25 დეკემბრისთვის.

ძალა იწერება პეტერბურლიდამ, რომ უნახავს ის. მართანეროთისგან მოშორებულნი მანც ერთ გზას ადგიხართო. არ ვიცი ხანდისხან ეს დაწყველილი გული რაზე მიკენის... ნუ თუ ვერ შევიძლებ, რომ სრუ-

ქირაოს როგორც ზალა წარმოდგენების გასამართავად და სახლი საზოგადოების ქონების შესახად, აგრეთვე ყველა ას, რაც სცენისათვის საჭიროა;

ბ) მისცეს თავის ქონება სახმარებლად სამუდამო ტრუჰპას და მოყვარულთა წრეებს;

გ) დაეხმაროს მატერიალურად დრამატიულ მწერლებს და არტისტებს, რომ უფრო გავარჯიშდეს მათი ნიჭი და მოქმედება;

დ) გამოსცეს ქართულს ენაზედ ორიგინალური და ნათარგმნი დრამატიული თხზულებანი და, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოსცეს გაზეთი ან ჟურნალი განსაკუთრებით დრამატიულის ლიტერატურისათვის და კრიტიკისათვის.

შენიშვნა. ლიბრეტოები და სცენარები წარმოდგენების ასახსნელად შეიძლება გამოიცეს რუსულს ენაზედაც.

მ) დანიშნოს ჯილდო საუკეთესო დრამატიულ თხზულებათათვის ქართულს ენაზედ და

ნ) გამართოს ქ. თფილისში თეატრალური კლასები და დროებითი კურსები მოსამზადებლად და გასაფარჯიშებლად არტისტებისა.

§ 3.

შოველ თავის მოქმედებაში საზოგადოება ემორჩილება ცანზურის წესდებულებას და პოლიციურ განკარგულებას.

II. შექლება საზოგადოებისა.

§ 4.

საზოგადოების შექლებას შეადგენენ:

ა) წევრთაგან შეტანილი ფულები;

ბ) საზოგადოების-მიერ გამართული სპექტაკლებისაგან შემოსული ფული;

გ) იმ სპექტაკლებისაგან შემოსული ფული, რომელიც იქნებიან გამართულნი საზოგადოების დახმარებით;

ღებით ჩავაჩუმო ეს გული... მეტი რა მინდა, სუყველანი პატივსა მცემენ!...

187... 17 აპრილი.

რა სასიხარულო ამბავია! პიღვე ერთ ქალს მშვენიერათ გაუთავებია უმადლესი სწავლა. წარჩინებული ქალები ჯერ ცოტანი არიან; მაგრამ მომავალი ბევრს ვეიქადის... მსე მხურვალეთ ვეკიდები ჩემ საქმეს და იმის მეთედსაც ვერ ვაკეთებ, რასაც მკოდნე ისე ადვილად გააკეთებს.

მკვი შემამებარა გულში... უქვიფობის ბრალი თუა... ციება თავს არ მანებებს. მქიმი მირჩევს დაისვენო, მანგლისში წაიღო...

დ) ძაბიტალის ქარცხებულთა ქონების და გამოცემების მცხოვრებელი, და აგრეთვე ფული, რომელსაც აიღებს საზოგადოება თავის საკუთრებად მოპოებულის დრამატიულ თხზულებათა წარმოდგენებიდამ, და

ე) შემთხვევითი შეწირულებანი სასარგებლოდ საზოგადოებისა.

§ 5.

შული და სხვა ქონება საზოგადოებისა ინახებიან ზამგეობის წევრების ზედამხედველობით და პასუხის-გებით, რისა გამოც ზამგეობას ვალად სდევს:

ა) ხელად საჭირო ფული ინახებოდეს საზოგადოების დახლში, ან ერთ-ერთ რომელსამე ადგილობრივ ბანკში.

ბ) დანარჩენი ფული საზოგადოებისა ინახებოდეს სახელმწიფო ბანკის ბანკოფილებში, საიმედო სარგებლიან ბილეთებად, და

გ) დანარჩენი ქონება საზოგადოებისა, როგორც: ბიბლიოთეკა, აკესსუარი და სხვ. დაიცვას დაკარგვისაგან და შეძლებისამებრ გაფუჭებისაგან, ჰქონდეს ამის ვრცელი სია და შეტანილ იყოს ცეცხლისაგან მზღვეველ საზოგადოებაში.

შენიშვნა. საზოგადოების ფულის და სხვა ქონების შემოწმებისა და ხარჯის რიგი დადგინდება საზოგადოებებისაგან.

III შედგენა საზოგადოებისა.

§ 6.

საზოგადოებას შეადგენენ:

ა) წევრნი შემდგენნი,

ბ) წევრნი საპატიონი

გ) წევრნი ნამდვილნი და

დ) წევრნი დამხმარებელნი.

წევრად მიიღებიან ორივე სქესის პირნი განურჩევლად.

§ 7.

შემდგენ წევრებად ითვლებიან პირნი, რომელთაც ამ წესდებულებათზედ ხელი მოაწერეს, სინამ იგი წარდგებოდა დასამტკიცებლად, აგრეთვე

ზემო მოყვანილი დღიური შემთხვევით ჩამივარდა ხელში. მიბათვის დამდგეს ქართლიდამ ჩამოველ ქალაქს საქმეების გამო და, რასაკვირველია, გავექანე სანახავად ჩემ მეგობრისას, რადგან შეტყობილი მქონდა იმის ავთომყოფობა. მეღარ მივუსწარ. დამარხვის დღეს არეულობაში იმის ოთახში ეიზოვე მოულოდნელად ეს პატარა რეველი. იმის დედის მწუხარებას ვეღარ ვაფუძელი და მაშინვე შინ დავბრუნდი. ჯერ აქამდისინ მესმის იმის სიტყვები: „შვილო, რაზე მოიკალ თავი! რა გაკლდა!“

ისინიც, რომელთაც, ამ წესდებულ-
ბის დამტკიცებამდის, წერილებით გა-
მოაცხადეს სურვილი საზოგადოების
შემდგენთა რიცხვში ყოფნისა.

შემდგენ წევრებს შეაქვთ-ან ყო-
ველ წლივ არა ნაკლებ ერთის თუმ-
ნისა,—ან სულ ერთად არა ნაკლებ
ათის თუმნისა. მინც ამ გადასახადს
ერთის წლის განმავლობაში არ შე-
მოიტანს, იგი ჰკარგავს შემდგენ წე-
ვრის წოდებას.

§ 8.

საპატრო წევრებად აღიარებიან სა-
ზოგადო კრებისაგან ისეთი პირები,
რომელთაც დაუდევით ან შეუძლი-
ანთ დასდონ ქართულს თეატრალურ
ხელოვნებას დიდი ღვაწლი თავის მო-
ქმედებით ან საზოგადოების სასარგე-
ბლოთ ფულის შეწირვით არა-ნაკ-
ლებ ასის თუმნისა.

შენიშვნა. საპატრო წევრის ღირსე-
ბა შეიძლება მიეცეს აგრეთვე იმ სა-
ზოგადოების წევრსაც, რომელიც მე-
ორედ იქნება სამის წლით ამორჩე-
ული საზოგადოების თავმჯდომარედ,
ან მესამედ იქნება სამის წლით აღ-
მორჩეული საზოგადოების მმართვე-
ლობის წევრად.

§ 9.

ნამდვილ წევრად ითვლებიან პირ-
ნი, რომელნიც სურვილს გამოაცხა-
დებენ, რომ საზოგადოების სასარგე-
ბლოთ შექმნდეთ წელიწადში არა
ნაკლებ ხუთის მანეთისა, ან არა და
ერთად არა-ნაკლებ ხუთის თუმნისა
და რომელიც აღმორჩეულ იქნება
ამ წოდებით საზოგადო კრებისაგან.

§ 10.

მინც თავის უსასყიდლო მოქმედე-
ბით დაეხმარება საზოგადოების სა-
ქმეს, შეიძლება აღმორჩეულ იქნას
(§ 20, მუხლი 3.) წევრად დამხმარ-
ებელად ფულის შეუტანელად.

§ 11.

საზოგადოების ყველა წევრებს,
წოდების გაუზრუნველად, აქვთ თანა-
ბარი ხმა, როდესაც რომელიმე სავა-
ნი ისინჯება საზოგადო კრებაში.
(დასასრული შექმნე №-ში.)

განცხადებანი

იჯარით მამული

სოფ. ქარელში (გორის უე-
ზდში) რკინის გზის მახლობ-
შიდ ვაიცეხ იჯარით თ. ია-
სონ დავითის-ძის ციციანოვის
მამული: სახნავ-სათესი ადგილე-
ბი, სათივე, ტყე (ერთი მე-ოცე-
და-თორმეტე ნაწილი საციცია-

ნო ტყისა), აგრეთვე სასლი
სოფ. ქარელში ყოველის თვის
მოწობილობით.

დაწერილებითი პირობების
შეტეობა მსურველს შეუძლიან
სოფ. ქარელში თ. იასონ დ.
ციციანოვისაგან. (6—4)

ვიანილო

ისეილება 200 მანეთად, ოლ-
გის ქუჩაზე, ტატო გაბაშვილის
სასლიში. (1—1)

მიუხედავად იმისა, რომ ბაჟი მოი-
მატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფა-
სად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი
1 მ. 5 გ. და 1 მ. 10 გ.; საუკეთესო
მინიგი 1 მ. 20 გ. და 1 მ. 40 გ.;
მშენიერი კასისუ 1 მ. 60 გ. და 1 მ.
80 გ. ძირე კარგი ჩაი 2 მ. გირვანჯა
უქალაღლოთ.

ინგლისური რეკლავები 4 მ.—40
მანეთამდინ და თოფები 20—200 მან-
ეთამდინ. ინგლისის მალაზიაში.
სააგენტო ბანსების უნაგრების გასას-
ყიდლათ, ჯონსის კლიტებისა, შოკო-
ლადისა და კესტრატისა ვაკაო ფრანსის,
რომელთაც დაიმსახურეს შარეიას მსოფ-
ლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი.
გირვანჯა არმატიული ჩაისა ლამაზი
ჩაინიგით 1 მ. 65 გ. და სულ საუკეთესო
2 მ. 30 გ. ვაჭრები მოიგებენ, თუ
იყიდიან ბლამით ინგლისის მალაზიაში.
მთელი კონსტიუმი 15 მ. ხველების კონ-
ფეტები 60 გ. ერთი გირვანჯა.
100—42

ლონდონის მალაზია

პრენის მოედანზე № 2, კომერ-
ციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია
წმინდა ძიხტის და ჩინეთის პირველი
მოწვეის ჩაის გასაყიდველად და საუ-
კეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-
გალითად: თოფების, რეკლავების-
სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი)
კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე,
ტიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-
ლი სუკრის ერბო, სასურნებლის,
საპონის, ცხვირ-სახოცების, შხოთკი
წინდების, ჩულქების, კარანდაშების,
რკინის კალმების და სხვ...
(100—46)

დასქიდვა ფასებით:

სასამთრო შალტოები 12 მანეთამდინ;
ფრუჩაიკები 2 მან. 50 გ.; ქუდები 1
მანეთამდინ, ფოდნოსები 5 კაპიკიამდინ;
თუფები 12 კაპ. თითო; ინდუსის
ბრინჯი 10 გ. გირვ.; ინგლისური კამ-
ფეტები 40 კაპიკიამდინ, და ჩაი, რომელიც
ვევლანს 2 მ. 50 გ. დის, ისე-
იადება 1 მან. 80 გ.

ინგლისის მალაზიაში, ანწრუნის
გალერეაში. (20—12).

ლონდონის მალაზია კომერციული
ბანკის ქვეშ დაასრულებია ნამდვილი ჩაი-

გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და
საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-
გალითად: თოფებისა, რეკლავებისა,
კლიტებისა, ჭურჭლებისა, ვაჭრებისა,
დანებისა, კოვხებისა, ჩაინიგებისა, შო-
კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონი-
სა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-
ლადისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უნა-
გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშე-
ვანი ხუთისა) და სხვ. სააგენტო მა-
კინტონის მოსასურნავებს გასასყიდლად
კანფეტების და ბატკონის და კამ. მუ-
რანისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდე-
ბისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ჭაგინის
ივარები. (100—43)

ძ. სალი-ოლლის თამბაქოს
ვაზარკისაგან.

რადგან ზოგიერთი თფილისი
მეთამბაქოები, რომელთაც თავის
საკუთარი კარგი თამბაქო არა
აქვთ, ჩვენი მთიანეთის მსგავს
მთიანეთს აპირან თავიანთ პა-
პიროზებსა და თამბაქოს და ამ თ-
ატუშებან გამოუცდელ და წერა-
კითხვის უცოდნელ ხალს, ამის
გამო ჩვენი ფაბრიკა საჭიროდ
რაცხს გამოაცხადოს, რომ ამ
მოტყუების თავიდან ასაცდენად,
ყველა მყიდველმა თამბაქოსისა
და პაპიროზებისა გასინჯოს ჩვე-
ნი ფირმის ზედ-წარწერა: **ოლსმა-
ლოს მვერვარდოში ძმები სა-
ლი-ოლლი.**

ვაზარკა სალი-ოლლისა.
(5—1)

შველაველ უფრო ბეჭი საქონელი
კავკასიის აქეთ მხარეში ინგლისის მა-
ლაზიაში, ანწრუნის გალერეაში:
დის სასასყად.

ისქიდვა სასამთრო მოსასურნავები,
ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფ-
შები და მურაბები. 500,000 კლიტები,
ფოდნოსები და კაღები 30% უფრო
იაფად, გიდრე სადე სსვგან. 2ს—20

ინგლისის მალაზიაში

თისანო-
სურენი
გაქ-რას-
ტმრი



ამაგრებს თმს და ადრინდელ ფერს
ამღვს, ფასი ერთი შუშისა 2 მან.,
გაგზავნი 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისეილება ქინის ზომად თმების
გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები
თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუა-
ლეტის საპანი, დუხები და სხვ.
(150—49)

ღვინის სასდელი მამინები
ინჟინერ-მეხანიკის ბარბ ა. კონ-
სარის სისტემისა, რომელიც უკვე
ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუ-

შობს ექვს ჩვენის მხრის ზედადებზე,
მზადდება თფილისში მარანკოვის
წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მენანი-
კურ სახელოანოში.

დაწერილებული ცნობის შეტყობა
ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე
პარლ ნიმაანთან. (11—8)

პარიკმახმის არსენ შუთაისუი

ქოსმეტიურს
მალაზიაში

ეს-ეს არის მოუვიდა პარიკადამ მრავა-
ლი გამამშენიებელი ნივთიულობა:
სსვგათა შორის სსვგ და სსვგ ნაირი ახ-
ლად მოგანილი თმის საღებავნი: „ოდე-
ციტერ“, „ოდალენს“ და „ოდანგლე“. მშენიერი
წამლები პირზედ დაფრისისა; სსვგათა შორის
ერთი სსვგად „უებარი“, ძალიან სელ-
მისაცამ ფასად.
ვაქედოვებ, პაციენტული საზოგადო-
ება ჩვენი მალაზიის მადლოერი იქნეს.
(10—10)

ქუთაისუი

„იე. ნიკოლაძე და შვილების“
მოდის მალაზიაში მიღებულია
სხვა და სხვა ნაირი საქონელი
საღმასაწყალოდ რომელიც
25° ნაკლებ იყიდება ვიდრე
სხვა მალაზიებში. იქვე იყიდება
ქორფლის წამალი და გამამშენ-
ნიერებელი ლეკანდეს.
(10—7).

ხველის კამფეთები 40 კაპიკიამ
გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციები-
სათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი,
სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგ-
ნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., სა-
უკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი
პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ.
წმიდა სანთლები და მშრალი საპონი
ინგლისის მალაზიაში.
(20—13)

დიდ-ძალ სამონლის დასქიდვა
ფაბრიკის ფასებით, ინგლისის მალა-
ზიაში, ანწრუნის გალერეაში.
იქვე ისეილება: წყლის-საწურავი
მამინები, ღოგვი, სახამებელი, კაკაო,
შოკოლადი, სტაქნები და სახის და-
სამშენებელად რძის, ნუშის და გლი-
ცერინის საპონი; ახალ სისტემის თო-
ფები. (10—7)

LANGUE ET LITTÉRATURE
FRANÇAISE
Un professeur de l'université de
Paris desire donner des leçons.
L'adresser Librairie Baerenstamm.
(3—1)